



სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია

I თავი

1. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევისა და დამტკიცების პროცედურა:

- ა) სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა ხდება მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან შეთანხმებით (მაგისტრანტი ირჩევს თემას, ათანხმებს თემის ხელმძღვანელთან და განცხადებით მიმართავს რექტორს, სამაგისტრო ნაშრომის თემის და თემის ხელმძღვანელის დამტკიცების თაობაზე), არაუგვიანეს სემესტრის პირველი სასწავლო კვირისა.
- ბ) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი ან მოწვეული სპეციალისტი.
- გ) რექტორის მიერ სამაგისტრო ნაშრომის თემის დამტკიცების შემდეგ მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან ერთად იწყებს ნაშრომზე მუშაობას.

II თავი

1.სამაგისტრო ნაშრომის არქიტექტონიკა:

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურაში იგულისხმება: **სატიტულო გვერდი (გარე ყდა); ხელმოწერის გვერდი; რეზიუმე; შინაარსი; ძირითადი ტექსტი; დასკვნა; გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა; დანართი** (არსებობის შემთხვევაში).

სატიტულო გვერდი (გარე ყდა): უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას, სტუდენტის გვარს, სახელს და ტექსტს „წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი“, თბილისი, 0156, საქართველო.

აღნიშნული გვერდის ნომერია- 1, მაგრამ იგი არ მიეთითება.

ხელმოწერის გვერდი: უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. სამაგისტრო ნაშრომის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ავტორის ხელმოწერა, მისი საიდენტიფიკაციო ნომერი. ნაშრომის აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „ თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი“, სკოლისა და სამაგისტრო პროგრამის დასახელებას, „ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით (გვარი, სახელი) მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: (დასახელება) და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის (სკოლის დასახელება) საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, თარიღი. იგი დამოწმებული უნდა იქნას ხელმძღვანელის, ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის (პასუხისმგებელია გაფორმების შესაბამისობაზე) და რეცენზენტის ხელმოწერით.

რეზიუმე: მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი და ძირითადი შედეგები. როგორც წესი, რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, სქემებს და სხვა. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 400-600 სიტყვამდე. რეზიუმე შესრულებული უნდა იყოს **ორ ენაზე** : სამაგისტრო ნაშრომისა და ერთ-ერთ უცხო ენაზე.

შინაარსი: სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის არსებული სივრცის შევსება სიმბოლოებით: „, „_“, და სხვა.

ძირითადი ტექსტი: იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს **შესავალს**. შესავალ ნაწილში მოცემული უნდა იყოს საწყისი ინფორმაცია კვლევის მიზნისა და მეთოდების შესახებ, სამაგისტრო ნაშრომში დასმული პრობლემის აღწერა, აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა, მიღებული შედეგების შესახებ. შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.

ძირითადი, ტექსტობრივი ნაწილი შესაძლებელია დაიყოს **თავებად და სხვადასხვა დონის**

ქვეთავებად. იგი უნდა შეიცავს ავტორის მსჯელობას, ანალიზს, რომელიც ეფუძნება გამოყენებულ წყაროებს, (თუ საჭიროა უნდა მიეთითოს ის ძირითადი დაშვებები ან გამონაკლისები, რასაც ავტორმა მიმართა კვლევის მსვლელობისას).

დასკვნა: სამაგისტრო ნაშრომი აუცილებლად უნდა შეიცავდეს დასკვნას, რომელიც მოკლედ უნდა იქნას ჩამოყალიბებული. შეჯამება, უნდა ეფუძნებოდეს ავტორის დამოუკიდებელი მსჯელობისა და ანალიზის შედეგს.

გამოყენებული ლიტერატურის სიის წარმოდგენისას გასათვალისწინებელია შემდეგი მოთხოვნები: ლიტერატურის სია წარმოდგენილი უნდა იყოს ანბანური თანმიმდევრობით. ჩამონათვალში ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, შემდეგ - უცხოურ ენებზე;

- **გამოყენებული წყაროები:**
- **სტანდარტები ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის**

წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:

- ავტორის სახელი და გვარი,
- სათაური
- გამოცემის ადგილი:
- გამომცემელი,
- წელი
- გვერდი
- **ნომერი**

1. გეგეჭკორი, არნოლდ კავკასია - ბუნების საგანძური. (თბილისი: მერიდიანი, 2007).

2. Ball, Philip Bright Earth: Art and the Invention of Color (New York: Farrar, Straus and Giroux, 2001), 140.

დამოწმება ტექსტში

(გვარი წელი, გვერდი)

(Ball 2004, 6-18)

(გეგეჭკორი 2007, 27)

თუ ვიძიებთ წიგნს, რომელსაც ჰყავს ორი ან სამი ავტორი

- პირველი ავტორის გვარი, სახელი,
- მეორე ავტორის სახელი, გვარი და მესამე ავტორის სახელი გვარი.
- წელი.
- სათაური.
- გამოცემის ადგილი:
- გამომცემელი.

ნომერი:

1. კეკელიძე, კორნელი და ალექსანდრე ბარამიძე. ძველი ქართულილიტერატურის ისტორია: V-XVIII სს. (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987).

2. Appleby, Joyce, Lynn Hunt, and Margaret Jacob. Telling the truth about history. (New York: W.W. Norton & Company, 1994).

დამოწმება ტექსტში:

(გვარი და გვარი წელი, გვერდი)

(კეკელიძე და ბარამიძე 1987, 45);

(Appleby, Hunt and Jacob 2005, 27)

სამეცნიერო ჟურნალების სტატია

დამოწმება ბიბლიოგრაფიაში:

- ავტორის გვარი, სახელი.
- ჟურნალის გამოსვლის წელი.
- სტატიის სათაური.
- ჟურნალის სახელწოდება,
- № ნომერი:
- გვერდები.

ნიმუში

1. ბუთხუზი, ნათია. 2016. ლოგისტიკური პროცესების აუტოსორსინგი. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული #7:71-74

2. Beattie, J.M. 1974. The pattern of crime in England, 1660-1800. Past and Present, no. 62:47-95.

დამოწმება ტექსტში:

(გვარი წელი, გვერდი)

(ბუთხუზი 2016, 71)

(Beattie 1974, 90)

ინტერნეტში განთავსებული მასალა

ბიბლიოგრაფიაში:

- გვარი, სახელი.
- წელი.
- სათაური.
- გამოცემის ადგილი:
- გამომცემელი. URL მისამართი
- (წვდომის თარიღი)

ნიმუში:

ჯორჯაძე არჩილ 2010. წერილები. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა,

<https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/samsaxurebi-da-servisebi-7/gamomcemloba1/cignebi/archil-djordjadze-werilebi.page>

(1.05.2016)

Samora, Julian and Patricia Vandel Simon. A History of the Mexican-American People. Rev. ed. East Lansing, MI: Julian Samora Research Institute, Michigan State University, 2000.

<http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six> (19.12.2005).

ტექსტში:

(გვარი წელი)

(Samora and Simon 2000).

(ჯორჯაძე 2010)

სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:

- მთავრობის (ქვეყნის, ქალაქის, ოლქის ან სხვა ერთეულის) და ხელისუფლების ორგანოს (საკანონმდებლო ორგანოს, აღმასრულებელი დეპარტამენტის, სასამართლო ბიუროს, საბჭოს, კომისიის ან კომიტეტის) სახელწოდება, რომელმაც გამოსცა დოკუმენტი;
- დოკუმენტის ან კრებულის სათაური, თუ ასეთი არსებობს (როგორც წესი, დახრილი შრიფტით);
- ავტორის, რედაქტორის ან შემდგენლის სახელი და გვარი, თუ მითითებულია;
- ანგარიშის ნომერი ან სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაცია;

- მონაცემები პუბლიკაციის შესახებ: გამოცემის ადგილი და გამომცემლის სახელწოდება (აშშ-ის ფედერალური მთავრობის მიერ გამოცემული აქ განხილული ყველა პუბლიკაციისთვის გამოიყენეთ აღნიშვნები Washington, DC, და Government Printing Office), გამოქვეყნების თარიღი;
- გვერდის ნომრები ან ადგილის დასადგენი სხვა მონაცემები, თუ საჭიროა

ნიმუში

ბიბლიოგრაფიაში

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და მსესხებელზე დაკისრებული ფინანსური ხარჯების განმარტების თაობაზე* №136/04 . თბილისი 2017 წლის 26 სექტემბერი
 Food Security Act of 1985, HR 2100, 99th Cong., 1st sess., Congressional Record 131, no. 132, daily ed. (October 8, 1985): H 8353-8486.

ტექსტში,

1. (*საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და მსესხებელზე დაკისრებული ფინანსური ხარჯების განმარტების თაობაზე 2017, 14*)
2. (Food Security Act of 1985, Record 131, no. 132)

2. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმატივები:

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა არის არანაკლებ 50 და არაუმეტეს 70 გვერდისა.

ენა: სამაგისტრო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. **A4** ფორმატის თეთრ ქაღალდზე, ბეჭედა წარმოებს ერთ გვერდზე. (ნახაზები, ცხრილები, ფოტოსურათები შესაძლებელია შესრულებულ იქნას ნებისმიერი სხვა ზომის ფორმატზე, დანართის სახით, მაგრამ არ იკინძება ნაშრომთან ერთად).

მინდორი: არე მარცხნიდან და მარჯვნიდან არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 სანტიმეტრისა; არე ზემოდან და ქვემოდან არანაკლებ 3 და არაუმეტეს 4 სანტიმეტრისა.

შრიფტი: სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულ უნდა იქნას შრიფტით **~ sylfaen ~** (უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში შესაბამისი შრიფტით). შრიფტის **ზომა 12**. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას უფრო დიდი შრიფტი, ზომით - 14.

სტრიქონებს შორის მანძილი: ძირითადი ტექსტისათვის **ინტერვალი არის 1,5**. მცირე ზომის სექციებისთვის (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1.

გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი დანომრილი უნდა იქნას თანმიმდევრობით. თავახის მარჯვენა ქვედა კუთხეში შრიფტის ზომით - **10**. (არ ინომრება მარტო პირველი სატიტულე გვერდი)

თავებისა და ქვეთავების დასახელებები: ყველა თავისა და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი შეიძლება გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.

სქოლიო: სქოლიო უნდა განთავსდეს გვერდის ბოლოს. შრიფტის ზომა - 10. სქოლიოს განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან.

III თავი

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურა:

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაზე.

სამაგისტრო სპეციალობისა და სამაგისტრო ნაშრომის თემის თავისებურებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელთან და სკოლის საბჭოსთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება და დაცვა უცხოურ ენაზეც. უცხოურ ენაზე წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა ახლდეს დამატებითი ვრცელი (არანაკლებ 3 გვერდი) ქართულენოვანი ანოტაცია.

✓ სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნას 1 ეგზემპლარის სახით. თან უნდა დაერთოს კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ვერსია და არსებობის შემთხვევაში - პრეზენტაცია.

✓ მაგისტრანტი დასრულებულ, სრულყოფილად გაფორმებულ, აკინძულ და ყდაში ჩასმულ სამაგისტრო ნაშრომს თავისივე ხელმოწერით უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის დეკანატის მიერ დადგენილ ვადებში წარუდგენს ხელმძღვანელს. ხელმძღვანელი გაეცნობა ნაშრომს, წერს დასკვნას და გადასცემს სკოლის დეკანს.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით, არანაკლებ ორ გვერდზე, A4 ფორმატით, შრიფტი - sylfaen; შრიფტის ზომა - 12; და დამოწმებული იყოს ხელმოწერით.

○ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნაში აუცილებლად უნდა იყოს დაფიქსირებული: ნაშრომის სახელწოდება; ნაშრომის ავტორის ვინაობა; ნაშრომის მოკლე მიმოხილვა; ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეები; ნაშრომის ავტორის მიერ გამოვლენილი ცოდნისა და უნარების ხარისხის აღნიშვნა; ნაშრომის ზოგადი დახასიათება; პირადი აზრი მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება-არმინიჭების შესახებ.

სამაგისტრო ნაშრომი ხელმძღვანელის დასკვნით გადაეცემა შეფასებისათვის რეცენზენტს.

✓ სკოლის საბჭო ნიშნავს რეცენზენტს, რომელიც უნდა იყოს დარგის სპეციალისტი დოქტორის (ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხით, და გადასცემს მას სამაგისტრო ნაშრომს სარეცენზიოდ.

რეცენზენტის დასკვნა უნდა შეიცავდეს

- ნაშრომის სახელწოდებას;
- ნაშრომის ავტორის ვინაობას;
- ნაშრომის მოკლე მიმოხილვას: ნაშრომის არქიტექტონიკისა და ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობა დადგენილ სტანდარტთან; დასახული მიზნების და კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობა; განხილული საკითხების ადეკვატურობა და შესწავლის ლოგიკური თანმიმდევრობას; საკითხის ამოწურვა, პრობლემების კომპლექსური შეფასება და გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება, საკუთარი მოსაზრებების და დასკვნების არგუმენტირებულად ჩამოყალიბება; ციტირების ტექნიკა და ნაშრომის ორიგინალობა
- ნაშრომის ძლიერ და სუსტ მხარეებს შენიშვნებისა და რეკომენდაციების მინიშნებით;
- ნაშრომის ავტორის მიერ გამოვლენილი ცოდნისა და უნარების ხარისხის აღნიშვნას;
- ნაშრომის ზოგად შეფასებას; პირად აზრს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება-არმინიჭების შესახებ.

რეცენზენტი ვალდებულია გადასცეს სამაგისტრო ნაშრომი და რეცენზია (სასურველია დაერთოს რეცენზენტის CV ან მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ) სამაგისტრო საგამოცდო კომისიას

ნაშრომის დაცვამდე არაუგვიანეს სამი დღისა. რეცენზენტის შეფასება შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში ინიშნება მეორე რეცენზენტი.

მეორე რეცენზენტის დადებითი რეცენზიის შემთხვევაში მაგისტრანტი დაიშვება დაცვაზე და დაცვის პროცედურაში მონაწილეობას მიიღებს ორივე რეცენზენტი.

მეორე რეცენზენტის უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება დაცვაზე და მომდევნო წელს ახალ თემას წარმოადგენს დასაცავად ზოგადად დადგენილი პროცედურის გავლით.

✓ მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება, თუ მას ექნება დაძლეული სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები და სამაგისტრო ნაშრომზე-ხელმძღვანელისა და რეცენზენტის დადებითი დასკვნა/რეცენზია.

✓ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს საჯაროდ, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ კომისიაზე. კომისიის წევრთა შემადგენლობა უნდა იყოს არანაკლებ 3 პროფესორისა და მდივანი.

✓ სამაგისტრო ნაშრომების დაცვის თარიღი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით. საპატიო მიზეზის არსებობისას, სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით, პირადი განცხადების საფუძველზე, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა შეიძლება ჩატარდეს ინდივიდუალურ რეჟიმში, არაუადრეს ბოლო სალექციო კვირისა (მე-15 კვირა) (რეგულირდება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით). დაცვის პროცედურა უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპს.

✓

სამაგისტრო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობს მაგისტრანტის ვინაობას, მის სპეციალობას, სამაგისტრო ნაშრომის თემას, ხელმძღვანელს და კითხულობს რეცენზენტის/რეცენზენტების დასკვნას. ამის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა მაგისტრანტს.

მაგისტრანტი აკეთებს 15-წუთიან მოხსენებას. მაგისტრანტის მოხსენებაში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მითითებული სამაგისტრო ნაშრომის მიზნები, ამოცანები, არსებული მოსაზრებები დასმული პრობლემის შესახებ. უფრო ვრცლად უნდა იქნეს წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს ანალიზი. ბოლოს, კონკრეტულად ჩამოყალიბდეს მიღებული დასკვნები, მათი თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება.

მოხსენების დროს მაგისტრანტს შეუძლია გამოიყენოს საილუსტრაციო საშუალებები. მოხსენების დამთავრებისთანავე მაგისტრანტი პასუხობს შეკითხვებს, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა მის ხელმძღვანელს. იგი დამსწრე საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას მაგისტრანტის მიერ გაწეული მუშაობის, სამეცნიერო-კვლევით პროცესში მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების შესახებ და დასკვნას სამაგისტრო ნაშრომის თაობაზე.

✓ დასკვნით სიტყვაში მაგისტრანტი გამოთქვამს თავის მოსაზრებას შენიშვნებისა და რეკომენდაციების ირგვლივ. შემდეგ იმართება დისკუსია, რომელშიც სამაგისტრო საგამოცდო კომისიის წევრებთან ერთად მონაწილეობას იღებენ დაინტერესებული პირები დამსწრე საზოგადოებიდან.

✓ ამით სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მთავრდება.

IV თავი

1. მაგისტრანტის შეფასება

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ სამაგისტრო საგამოცდო კომისია იწვევს დახურულ სხდომას, რომელზეც კომისიის თითოეული წევრი აფასებს თითოეული მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომს მაქსიმუმ 100 ქულით, შემდეგი სქემის მიხედვით:

- ნაშრომის არქიტექტონიკა-10 ქულა;
- დასახული მიზნებისა და კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობა-10ქულა;
- გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება და ვალიდურობა-10 ქულა;
- ციტირების ტექნიკა-10 ქულა;
- პრეზენტაციის ტექნიკა და ტექნოლოგია -10 ქულა;
- პრობლემის დასმა და წარმოჩენა -10 ქულა;
- კრიტიკული ანალიზის უნარი-10 ქულა;
- დასკვნების არგუმენტაცია-10 ქულა;
- პოზიციის დაცვა-10 ქულა;
- რეგლამენტის დაცვა-10 ქულა.

1¹. სამაგისტრო პროგრამის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და მათი წონა შეიძლება იყოს განსხვავებული (აკად. და წარმომადგენლობითი სენატის დადგენილება # 80 22.03.2018)

სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მაგისტრანტის შეფასება არის კომისიის თითოეული წევრის მიერ ამ მაგისტრანტისათვის მინიჭებულ შეფასებათა საშუალო არითმეტიკული.

სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი სისტემის შესაბამისად:

დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს და ენიჭება მომდევნო წელს გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს და კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

2. დაცვის შედეგები.

სამაგისტრო საგამოცდო კომისიის დახურული სხდომის დამთავრების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე საჯაროდ აცხადებს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და ზეპირი სამაგისტრო გამოცდა/დაცვა ითვლება ჩაბარებულად, თუ სამაგისტრო ნაშრომის ქულა მაქსიმალური შეფასების 50%-ზე მეტია.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის დადებითი შეფასების შედეგები : სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის ჩაბარების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი. მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დიპლომს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი და სკოლის დეკანი. დიპლომს დაესმის უნივერსიტეტის ბეჭედი.

სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითი შეფასების შედეგები.

სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტი დამატებით სემესტრში გადის სემესტრულ რეგისტრაციას და ეძლევა ახალ/იმავე სამაგისტრო თემაზე შესრულებული ნაშრომის წარმოდგენის უფლება.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ბათილად გამოცხადების, სამაგისტრო დიპლომის ჩამორთმევისა და მინიჭებული ხარისხის გაუქმების საფუძველია აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის (პლაგიატი) გამოვლენა.